ალექს ჩიღვინაძე

სიკვდილის მდინარე

Scanned with CamScanner

მოქმედი პირები:

პირველი მეთევზე

მეორე მეთევზე

თვითმკვლელი

Scanned with CamScanner

მთელი სცენა – ხიდია. ხიდზე მყოფნი, მაყურებელს ისე გადმოსცქერიან, როგორც მდინარეს. გაზაფხულის თბილი დღეა. ხეებს ღია მწვანე ფოთლები – ახალშობილის მომცრო ყურებივით ამოზრდიათ. ჰაერი გაჟღენთილია გაზაფხულის სურნელით. ხიდზე ორი მეთევზე დგას.

Scanned with CamScanner

პირველი სცენა

პირველი მეთევზე. პოლიციის სირენის ხმას თუ გაიგებ და შენი მრგვალი ფანჯრიდან გადაიხედავ, დაინახავ გარუჯულ, ნახევრად შიშველ, გრძელფეხება სამართალდამცავებს. მათ, ათლეტური აღნაგობის, შეშინებული, გაუპარსავი, მთვრალი მამაკაცი კადილაკზე გადაუწვენიათ და ბორკილს ადებენ. ამ ქალაქში, როგორც წესი, პოლიციაში ის ქალები იწყებენ სამსახურს, რომელთაც მოდელის კარიერაში წარმატებას მიაღწიეს. მხოლოდ ამის შემდეგ აქვთ უფლება, იმსახურონ. კანონი – მხოლოდ მამაკაცებისთვის არსებობს. ისინი – მაწანწალა ძაღლებივით დაეხეტებიან ქუჩაში, უსაქმურები, სასმელის და წამლის დოზის ძიებაში. ქალებს ყველაფრის უფლება აქვთ.

ისტორია, რომელიც ამ ქალაქში მოხდა, არც ერთ სხვა ისტორიას არ ჰგავს. ისევე, როგორც ეს ქალაქი არ ჰგავს არც ერთ სხვას. ციხეში გატარებული ორი თვის შემდეგ, ცალხელა ჯონმა გადაწყვიტა, ჭკვიანად ყოფილიყო. შეიძინა 10 ქილა ლუდი და იმ ადგილას დაჯდა, საიდანაც

Scanned with CamScanner

ყველაზე კარგად ჩანდა ქალაქიდან გამავალი მატარებ-ლის ლიანდაგები. გაზაფხულის ნიავი ქროდა. მთვარეს ღრუბლები ხან აჩენდნენ, ხან არა. მატარებლები ყოველ ნახევარ საათში გრიხინით ჩაივლიდნენ გვერდზე. ის კი ყოველ ნახევარ საათში ასწრებდა ქილის გამოცლას და მეორე ქილის გახსნას. ათი მატარებლის ჩავლის შემდეგ, მის ფეხებთან ლუდის ქილებით აწყობილი მატარებელი იდგა. ცალხელა ჯონს, უკვე აღარაფრის თავი არ ჰქონდა და იქვე წარმოქმნილ ბაქანზე აპირებდა ჩაძინებას, იმ რამდენიმე ვარსკვლავის ყურებაში ცაზე რომ მოჩანდა და არაფრის დიდებით არ აპირებდა ჩამოვარდნას.

მოულოდნელად მას მძიმე ნაბიჯების ხმა მოესმა. დაეზარა მიხედვა და დაელოდა, სანამ უცნობი მისი თვალთახედვის არეში შემოვიდოდა. მაგრამ უცნობი მის უკან გაჩერდა. ჯონი იძულებული გახდა, თვალი მოეწყვიტა ცისთვის. მთელი ტანით შებრუნდა. მაგრამ მის უკან არავინ იდგა.

მეორე მეთევზე. საინტერესოა... ყოველ დღეს საკ-მარისად აქვს თავისი უბედურება. მაგრამ ვერ მივხვდი, რისი თქმა გინდოდა მაგ უაზრო ისტორიით?

პირველი მეთევზე. ხშირად ადამიანები არაფერზე ლაპარაკობენ. ეს არაფერი, განსაკუთრებულ მნიშვნელო-

Scanned with CamScanner

ბას იძენს მათთვის. მეც გადავწყვიტე ისტორიები მოვიგონო და ამ «არაფერს» თავისი ადგილი მივუჩინო.

მეორე მეთევზე. რატომ ართულებ ყველაფერს?

პირველი მეთევზე. ვართულებ? წერო იგივეა, რომ იფრინო სიზმარში. როცა იხსენებ. როცა შეგიძლია. როცა გამოგდის. და ეს ძალიან მარტივია. რთული და მარტივი, ლამაზი და მახინჯი, ბედნიერი და უბედური, ისეთივე შეუსაბამო ეპითეტებია ცხოვრებისთვის და მათგან გამოშვებული ან მასში ჩაკეტილი ისტორიებისთვის, როგორც თევზისთვის – ორატორი ან სოპრანო...

(მეთევზეები წყალში მოტივტივე ქალის გვამს მოკრავენ თვალს)

პირველი მეთევზე. შეხედე წყლის სოკოს არ ჰგავს. საშინელი შესახედია, თან ვულგარული.

მეორე მეთევზე. სიკვდილი – ერთდროულად საზარელი და ვულგარულია... შენ ძალიან გაერთე შენს ისტორიებში... თითქოს სინამდვილეშიც ისე იქცევი და ლაპარაკობ, როგორც ამას დაწყებული ისტორია გთხოვს. მგონი პოლიციას უნდა შევატყობინოთ (გვამზე მიანიშნებს).

პირველი მეთევზე. ეჰ, რაც მე გვამები მინახავს, გაბერილი, ფერმკრთალი, სლიპინა, თმები მწერების –

Scanned with CamScanner

მოძრავ საცეცებს და წყალმცენარეებს რომ მიუგავთ... დიდი, მსუქანი თევზივით წყლის დინებას მინდობილნი... ამ მდინარეში ისინი არ დაილევიან. და ისედაც, ერთი რამე ვისწავლე, არასოდეს უნდა შეიცხადო და გაიკვირვო მიცვალებული, სადაც არ უნდა ნახო ის. გვამი – გვამია, მიიღე ის როგორც გარდაუვალი შედეგი. უყურე, ისიც ცოტა ხანში თვალს მიეფარება... თან მგონი მათი ცქერა უკვე მამშვიდებს.

მეორე მეთევზე. მე მაინც წავალ. პოლიციას შევატყობინებ.

პირველი მეთევზე. წადი შეატყობინე და მაგრამ ნუ იჩქარებ, როგორც ჩანს ჩვენს უცნობ მეგობარს უკვე არსად ეჩქარება.

(პირველი მეთევზე მიდის. მეორე მეთევზე უსტვენს მელოდიას მხატვრული ფილმიდან „კარგი, ცუდი და ბოროტი“. ვიღაც შემოდის ხიდზე. წყალს ჩააშტერდება. მერე მოაჯირზე დგება და ხელებს შლის. ამ დროს მეორე მეთევზეც ბრუნდება)

Scanned with CamScanner

მეორე სცენა

პირველი მეთევზე. შეატყობინე პოლიციას?

მეორე მეთევზე. არა, ხურდა არ მქონდა, რომ ტელეფონის ჯიხურიდან დამერეკა...

პირველი მეთევზე. შეხედე, მგონი კიდევ ერთი გვამი შეემატება ჩვენს მდინარეს.

მეორე მეთევზე. ჩვენ ამას არ დავუშვებთ... (სუპერგმირივით ამბობს მეთევზე)

პირველი მეთევზე. ყველაფერი ღვთის ნებაა, ჩემო ბიჭო....

(ისინი ამ ლაპარაკში გართულნი უახლოვდებიან ხიდზე შემდგარ ადამიანს, რომელსაც თვალები დაუხუჭავს და წამი-წამზე უნდა გადახტეს)

მეორე მეთევზე. შეჩერდი, მდინარე მოწამლულია...

(უცნობი თვალს ახელს და გაკვირვებული შესცქერის მეთევზეებს)

თვითმკვლელი. რა მითხარი?

პირველი მეთევზე. რა აკეთებ?

თვითმკვლელი. ვერ ხედავ?

Scanned with CamScanner

მეორე მეთევზე. შენ რომ მართლა თავის მოკვლა გინდოდეს, ამას ღამე გააკეთებდი და არა, მაშინ როცა შორიახლოს ჩვენ ვართ და იცი, შენს გადარჩენას შევეცდებით.

თვითმკვლელი. ღამით? არა, ბნელი წყლის მეშინია. მეშინია მარტო სიკვდილის... (ქვითინებს)

პირველი მეთევზე. ამ მშვენიერ, ნათელ და თბილ დღეს კი სიკვდილიც არ მოგეჩვენება საშიში... მიდი, მიდი უკან ნუ დაიხევ, გადახტი წყალში.

მეორე მეთევზე. საერთოდ, რატომ გადაწყვიტე თავის მოკვლა? ასეთ თბილ და ნათელ დღეს ცხოვრებაც ხომ უფრო მშვენიერია...

თვითმკვლელი. ქალის გამო...

პირველი მეთევზე. ოჰ, ეს ქალები... დამიჯერე, ნახევარზე მეტს, ვისაც ქალის გამო თავი მოუკლავს, იმ ქალის ცხოვრებას ცალი-თვალიც რომ შეახედო, კუბოში ისე დაიწყებს ტრიალს, როგორც ლიმონი სათამაშო აპარატზე.

თვითმკველელი. ჩემს შემთხვევაში საქმე სხვანაირად არის... (ის მოაჯირზე ჩამოჯდება და მეთევზეებს საუბარს გაუბამს)

მეორე მეთევზე. უიმედოდ ხარ შეყვარებული?

Scanned with CamScanner

თვითმკველელი. არა, არ ვიცი, უბრალოდ, ვინ არის ის ქალი. თან მგონი არც მე ვარ „მე“.

პირველი მეთევზე. ჰო...

თვითმკველელი. ის ყოველ ღამე მესიზმრება. მთელს სიზმარს ერთად ვატარებთ. ბოლოს ვუიმაობთ, ვათავებ და მელვიძება. თან სიზმარში ვინმე ალფრედი ვარ. წარმოდგენაც არ მაქვს რატომ მაქვს იმ ალფრედის შეგრძნებები. ან ის ქალი ვინ არის? ქალის სახე არ მამახსოვრდება. მხოლოდ ტუჩები და ძუძუსთავები. კიდევ კაბა. მას ხშირად აცვია ლურჯი კაბა. და კაბის გახდის მომენტიც მახსოვს. შეიძლება დღეში 3-4-ჯერ გქონდეს სექსი, იწვე სხვა ქალთან ერთად და სიზმარში ისევ მას ხვდებოდე, სხვის ორგაზმს გრძნობდე. ძალა – აღარ მაქვს. ყოველ ღამე – მეორდება ეს სიზმარი.

პირველი მეთევზე. ეს მდინარე საუკეთესოა ადგილია უცნობი ქალის მოსაძებნად, რომელიც მხოლოდ სიზმარში თუ გინახავს. ამ წყალს, მის ფსკერს, მრავალი ანარეკლი და დარდი ახსოვს... მრავალი სახე. დროს ნულარ კარგავ! მიდი, გადახტი!

თვითმკვლელი (რომელმაც, როგორც ჩანს, უკვე გადაიფიქრა თავის მოკვლა). ალფრედი... ხანდახან მარ-

Scanned with CamScanner

თლაც მგონია რომ ალფრედი ვარ და საშინლად მენატ-
რება ის ქალი.

მეორე მეთევზე. ამ მწვანე წყალში მზის სხივები ძლივს ატანს ფსკერამდე. საეჭვოა, იმ ქალის შესახებ რომელიმე თევზმა გიამბოს... ალბათ ეგ ქალი შენი წინა ცხოვრე-ბიდან არის. ჰიპნოზი სცადე, ან ბოლო-ბოლო, მოძებნე.

თვითმკვლელი. არ ვიცი.

პირველი მეთევზე. ეგ სიზმარი – შენი მინოტავრია. ნუ მისცემ მას საშუალებას, გადაგყლაპოს...

თვითმკვლელი (პანიკაში ვარდება). თქვენ ვინ ხართ? რა გინდათ ჩემგან? (ხიდიდან ჩამოდის და გარბის)

მეორე მეთევზე. გიჟია!

პირველი მეთევზე (მისძახის გაქცეულს). ალფრეეედ!

ფარდა

ლურჯი უცნობი ქალის კაბასავით –
სიზმრიდან.

Scanned with CamScanner